ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724047001
თარიღი:16/02/2024

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომა N-01**

**დ. ლენტეხი. 14 თებერვალი 2024წ**

მიმდინარე წლის 14 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. ბიუროს სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11(თერთმეტი) წევრი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს დღის წესრიგი:

1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

/მომხს: ბიუროს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

2. სხვადასხვა.

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

1. მოისმინეს: ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა მოამზადეს საკითხები და შესაბამისად შედგა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

**1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასიის დადგენის შესახებ.**

/მომხს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

**2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების თაობაზე.**

/მომხ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირების 2024 წლის გეგმა პროგრამების - დამტკიცების თაობაზე.**

/მომხს: საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

4. **სხვადასხვა.**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა. მან აღნიშნა, რომ მიწის ნორმატიული ფასი არ იცვლება, იგივეა როგორც წინა წელს. კერძოდ:

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ**

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 08 ოქტომბრის N-784 ბრძანებულების შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

**მუხლი 1**

დადგინდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი №1-ის მიხედვით.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №9 (www.matsne.gov.ge 200140030.35.115.016380 01/03/2023 წ.) დადგენილება

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} X I_{T L} X C X K$

ა) $C_N$ არის 1კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) $I_{MG}$ არის დაბა ლენტეხის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,28-ს;

გ) $I_{T\ L}$ არის ლოკალური ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვ.მ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 50-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

| IMC | ITL | C | K | CN |
|---|---|---|---|---|
| 0.28 | 1 | 0.24 | 50 | 3,36 |

3. დაბა ლენტეხში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 3,36 ლარს.

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 40 %-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1,344 ლარს.

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 30%-ით და იგი შეადგენს 1,008 ლარს.

6. „საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ლენტეხისათვის დადგენილი ფასის 80%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,7 ლარს.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**2.მოისმინეს:** მერიის საფინანსო სამსახური სუფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის განაწილების თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის თანახმად სარეზერვო ფონდიდან თანხა გადატანილი იქნას სტიქიური მოვლენების (ხანძრის) შედეგად დაზარალებულთა დახმარების მუხლში იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმდინარე თებერვლის თვეში დიდთოვლობის პერიოდში ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარიშში მთლიანად დაიწვა თორნიკე ლიპარტელიანის საცხოვრებელი სახლი. უგზოობის გამო სახანძრო მანქანამაც ვერ მოახერხა ადგილზე მისვლა და დადგა სავალალო შედეგი. ეს საკითხი განხილული იქნა სამხარეო რწმუნებულის

დონეზე და მიღებულია გადაწყვეტილება, გამონაკლისის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავეხმაროთ ამ ოჯახს .

**აზრი გამოთქვა :** ბიუროს წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა - მთელმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ვიცით, რომ სოფ ყარიშში მცხოვრებ თორნიკე ლიპარტელიანს ერთდროულად დაატყდა თავს დიდთოვლობა, ხანძარიც და უგზოობაც. ამ პრობლემების შედეგად ეს პიროვნება დარჩა აბსოლიტურად ხელცარიელი და ძლივს მოახერხა თავის გადარჩენა.

ბიუროს წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტს და გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**3.მოისმინეს:** საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა ო.ლიპარტელიანის სახელობის აიპის და სასპორტო გაერთიანების გეგმა-პროგრამები. აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნა, რომ არ აქვთ გათვლილი კომუნალური და საკანცელარიო ხარჯები. სხვა შენიშვნა არ გვაქვს, ასახულია 10%-იანი მატება და ხელშეკრულებებიც შვიდი თვიდან გაიზარდა 10 თვეზე.

**მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სხვა აიპიების გეგმა-**პროგრამები არ არის შემოსული საკრებულოში.

**შენიშვნები საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.**

გადაწყვიტეს: საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი;

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -11

წინააღმდეგი -0

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.**

**2.სხვადასხვა**

საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ წელს თებერვლის თვეში უხვი ნალექის გამო შეგვექმნა სერიოზული პრობლემები მოსახლეობასთან და აუცილებელია ახალი ტრაქტორების შეძენა.

პასუხად მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნისნა, რომ ერთი ტრაქტორი უკვე შეგვიძინა იაპონიის საელჩომ.

გოგა შავრეშიანმა აღნიშნა, რომ წლევანდელი ზამთარი იყო კატასტროფა. დღესაც არ არის გზები გაწმენდილი. უნდა ვაღიაროთ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ იმუშავა სათანადოდ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა - ამ საკითხზე იქნება ცალკე კომისიის სხდომა და მოვისმენთ შესაბამის ინფორმაციას მერიის თანამდებობის პირებისგან.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი